დამტკიცებულია :

კოლეჯ ,,ოპიზარის“ დირექტორის

ბრძანებით # 03 10/07/2014 წელი

ცვლილება: 2018 წლის 24 აგვისტოს # 72 ბრძანება და 2020 წლის 17 ივნისის # 31 ბრძანება

სსიპ კოლეჯი ,,ოპიზარი“

პერსონალის სამსახურში მიღების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს სსიპ კოლეჯ ,,ოპიზარის“ (შემდეგში -კოლეჯი) პროფესიული განათლების მასწავლებლების, მოწვეული სპეციალისტების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიღებისა და გათავისუფლების წესს.

1.2 წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, ,,პროფესიული განათლების” შესახებ საქართველოს კანონის, განათლების სფეროში არსებული სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების, საქართველოს შრომის კანონმდებლობის, კოლეჯის წესდების გათვალისწინებით და განსაზღვრავს პერსონალთან შრომითი ურთიერთობების დარეგულირების საკითხებს;

მუხლი 2. დაწესებულების პერსონალი

2.1. დაწესებულების პერსონალს განეკუთვნებიან:

პროფესიული განათლებლის მასწავლებლები;

მოწვეული სპეციალისტები;

ადმინისტრაციული პერსონალი;

დამხმარე პერსონალი.

მუხლი 3. პერსონალის მიღების წესი:

3.1 კოლეჯში პერსონალი მღების წესი შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსის ნორმებს;

3.2. დაწესებულების პერსონალი შედგება ადმინისტრაციული პერსონალისაგან, პროფესიული განათლების მასწავლებლებისაგან და დამხმარე პერსონალისაგან;

3.3.ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს სამსახურში იღებს და ათავისუფლებს დირექტორი.შესაძლოა თანამდებობის დასაკავებლად დირექტორის ბრძანებით გამოცხადდეს კონკურსი. კონკურსის ჩატარების პირობები და წესი განისაზღვრება კონკურსის ჩატარების შესახებ ბრძანებით;

3.4. პერსონალის სამსახურში მიღება ფორმდება დირექტორის ბრძანებით ან/და ხელშეკრულებით ბრძანების/ხელშეკრულების გაფორმების საფუძველია თანამდებობრივი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილება;

3.5.პერსონალის სამსახურში მიღებისას და განთავისუფლებისას დირექტორი ხელმძღვანელობს საქართველოს შრომის კანონმდებლობით;

3.6. პერსონალთან, რომელიც სამუშაოდ მიიღება დროებით განსაზღვრული ვადით, კონკრეტული სამუშაოს შესრულებისათვის, შრომითი ურთიერთობები განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით;

3.7.დირექტორი უფლებამოსილია პერსონალი სამუშაოდ მიიღოს გამოსაცდელი ვადით, შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით, რის შესახებაც აღინიშნება შესაბამის ბრძანებაში;

3.8პერსონალი თანამდებობრივი ინსტრუქციების/ ფუნქცია მოვალეობების და კოლეჯის შინაგანაწესის გაცნობის შესახებ ინფორმაციას ხელმოწერით ადასტურებენ მათთან გაფორმებული ხელშეკრულების ბოლო ნაწილში, შესაბამის ჩანაწერთან.

3.9 დასაქმებული ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აცხადებს თანხმობას, რომ დამსაქმებელი წესდების განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებისათვის უფლებამოსილია დაამუშავოს ან მესამე პირს გააცნოს/გადასცეს დასაქმებულის პერსონალური ხასიათის ინფორმაცია, რომელიც დამსაქმებელს მიღებული აქვს სამსახურეობრივი ურთიერთობის ფორმირების ან არსებობის ფარგლებში. დამსაქმებელს შეუძლია საჯარო გახადოს ინფორმაცია დასაქმებულის სამსახურეობრივი პოზიციის, კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

3.10 კოლეჯში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება.“.

(სსიპ კოლეჯის ,,ოპიზარი“ დირექტორის 2018 წლის 24 აგვისტოს # 72 ბრძანება)

(სსიპ კოლეჯის ,,ოპიზარი“ დირექტორის 2020 წლის 17 ივნისის # 31 ბრძანება)

მუხლი 4 . პროფესიული განათლების მასწავლებელი

4.1.პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3/სამი/ წლის გამოცდილება;

4. 2 თუ შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგენილია დამატებითი მოთხოვნები, მასწავლებელი უნდა აკმაყოფილებდეს ამ მოთხოვნებსაც;

4.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება წარმოადგენს ამ პროგრამის პროფესიულ მასწავლებლებთან ან მოწვეულ სპეციალისტებთან შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის საფუძველს;

4.4. პედაგოგიურ პერსონალს სამსახურში იღებს და ათავისუფლებს დირექტორი;

მუხლი 5. . პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესი.

5.1.პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის მიზნით მისაღები კანდიდატი მიმართავს კოლეჯის დირექციას.

5.2.მასწავლებელთა კანდიდატურებიდან შერჩევას ახორციელებენ დირექტორი და პროგრამებისა და ხარისხის მართვის მენეჯერი .

5.3.პროფესიული მასწავლებლების დანიშვნა ხდება დირექტორის ბრძანებით ან/და ფორმდება მათთან შრომითი ხელშეკრულებები.

5.4.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება წარმოადგენს ამ პროგრამის პროფესიულ მასწავლებლებთანა მოწვეულ სპეციალისტებთა შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის საფუძველს;

5.5.შესაძლოა პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობის დასაკავებლად დირექტორის ბრძანებით გამოცხადდეს კონკურსი. კონკურსის ჩატარების პირობები და წესი განისაზღვრება კონკურსის ჩატარების შესახებ ბრძანებით.

მუხლი 6. პერსონალის სამსახურში მიღებისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. რეზიუმე (CV);
2. პირადობისმოწმობის ასლი;
3. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
4. ორი ფოტოსურათი;
5. დასაკავებელი თანამდებობისათვის მოთხოვნილი მუშაობის სტაჟის დამადასტურებელი ცნობა ან შრომის წიგნაკის ამონაწერი;
6. პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის 3(სამი)წლის მუშაობის სტაჟის დამადასტურებელი ცნობა ან შრომის წიგნაკის ამონაწერი (მუშაობის გამოცდილების მოთხოვნის შემთხვევაში);
7. „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის არქონის შესახებ ცნობა ან იმავე კანონის საფუძველზე სასამართლოს მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლების ჩამოურთმელობის შესახებ დოკუმენტი.

მუხლი 7. მოწვეული სპეციალისტი

7.1.საგანმანათლებლო პროგრამა პროფესიული განათლების მასწავლებლების გარდა, შეიძლება განახორციელონ აგრეთვე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულმა სპეციალისტებმა, თუმცა პროგრამის განხორციელება დაუშვებელია მხოლოდ მოწვეული პერსონალის მიერ ;

7.2.დაწესებულება უფლებამოსილია, პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე, მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი;

7.3. მოწვეულ სპეციალისტს უფორმდება ხელშეკრულება დირექტორის მიერ;

7.4.საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება შეიძლება გახდეს მოწვეულ სპეციალისტებთან შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის საფუძველი .

მუხლი 8. პროგრამის ხელმძღვანელი

8.1. პროგრამის ხელმძღვანელის არჩევა ხდება დარგობლივი კათედრების სხდომებზე;

8.2.პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს კონკრეტული პროფესიული პროგრამის განხორციელების საერთო ზედამხედველობას, მის შედგენას, მასში ცვლილებების შეტანას, ცალკეული კურსებისათვის სასწავლო დატვირთვის მოცულობის განსაზღვრას, სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფას,კალენდარული გეგმების მომზადების ორგანიზებას;

მუხლი 9. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

9.1. აღნიშნული წესის დამტკიცება ხდება დირექტორის ბრძანებით ;

9.2. მიღების წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, აგრეთვე გაუქმება, ხორციელდება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი პროცედურის დაცვით.